ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №35

08 ნოემბერი, 2019 წელი
15:00 საათი
(ოთახი N329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. თამარ ტალიაშვილი;
5. დათო ჟღენტი;
6. ლილე ლიპარტელიანი.

მოწვეული სტუმარი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში, რომელიც განპირობებულია საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გადმოსაცემი ტრანსფერის - 100 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 400,0 ათასი ლარით; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 275,0 ათასი ლარით; ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 1 300,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 495,0 ათასი ლარით; სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარება (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 26,1 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 75,0 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 282,0 ათასი ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 600,0 ათასი ლარით; ,,C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი 06 01 12) – 55,0 ათასი ლარით; სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 20,0 ათასი ლარით; თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 100,0 ათასი ლარით; უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) – 162,0 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 100,0 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 120,0 ათასი ლარით; წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 20 02) – 45,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 30,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) – 145,0 ათასი ლარით დღეის მდგომარეობით სოციალური დაცვის ქვეპროგრამა (06 02) განისაზღვრება 144 721 000 ლარით, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამა (06 01) 53 381 700 ლარით.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით

წარმოდგენილ ცვლილებას დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია და დაადგინა პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 2

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე